სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1992 შაბათი 20 ივნისი № 10 (11)

ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## ეკოლოგია მუდამ თანადროულია

ქალაქ ზუგდიდის ბუნების დაცვის უფროსი, ბატონი გ. ხუბულავა:

**„უნდა შეიქმნას ზუგდიდის ეკოლოგიური ფონდი“**

ეკოლოგიური მდგომარეობა კრიტიკულია. საერთო არასტაბილურობამ ტყის განადგურებას შეუწყო ხელი. მიწის პრივატიზაცია საზოგადოების ნაწილმა არასწორად გაიგო, მასიური ხასიათი მიიღო ტყის გაჩეხვამ. სოფელ რუხში 15 ჰექტარი განადგურდა. რიგ სოფლებში ამ მოტივით ჩაის პლანტაციებიც კი ამოიძირკვა. ეკოლოგიურად მიზანშეუწონელ ადგილებში გაიხსნა არა ერთი კარიერი.

ქალაქში არ ფუნქციონირებენ გამწმენდი ნაგებობები, ფაქტიურად მათი რეკონსტრუქციაც შეუძლებელია, საჭიროა ახლის აშენება. აუცილებელია შესაფერისი ადგილი გამოიყოს ნაგავსაყრელისათვის, რომელიც ამჟამად ცაიშში მდებარეობს. ასევე თუ გვინდა ტყე მასიურ განადგურებას გადავარჩინოთ, უნდა გამოვყოთ გარკვეული ტერიტორია, რომელზეც ნებადართული იქნება შერჩევითი ჭრა.

ამ და სხვა პრობლემების გადასაჭრელად ჩვენთან, ბუნების ქომაგებთან ერთად საჭიროა რაიონის ხელმძღვანელებმა ამ მიმართულებით აამოქმედონ მილიცია. ვგონებ, აუცილებელია ეკოლოგიური ფონდის დაარსება, რომელიც მატერიალური ბაზის შექმნის უზრუნველყოფასთან ერთად, ბუნების დაცვის მუშაკთა დაინტერესებასაც გაზრდის.

ქალაქ ზუგდიდის გამწვანების კანტორის უფროსი, ბატონი ა. ჩიქოვრაია:

**„ბუნება შევიძულეთ და დაგვლუპა კიდეც ამ სიძულვილმა“...**

განსაკუთრებით საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა იანვრის თვიდან გაუარესდა. მოიჭრა დიდი ცეცხლი გაუჩნდა ასეულობით ხეს, ბუჩქს. მარტო 100-მდე პალმაა დამწვარი...

მძიმე მდგომარეობაა ახალგაზრდულ პარკში. მოსახლეობის ნაწილმა გაჩეხა და დაიტაცა ათასობით ნერგი. მთლიანად დაანგრიეს სანერგე მეურნეობა, მოიჭრა ორი ორასწლიანი ჭადარი. სხვათაშორის ქალაქის გამგეობამ მკაცრი სასჯელი დააწესა ამ უკანონო ქმედობებზე...

ბუნება შევიძულეთ და დაგვლუპა კიდეც ამ სიძულვილმა. მიუხედავად დიდი ანაზღაურებისა, დღემდე მუშის პრობლემა გვაქვს.

ჩვენი მიზანია გავალამაზოთ და გამოვაცოცხლოთ ქალაქი. თითოეული ზუგდიდელი უნდა იყოს მისი ეკოლოგიური სიჯანსაღით დაინტერესებული, მარტო ჩვენ, მწვანეები ვერაფერს გავხდებით...

ქ. ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექტორი, ბატონი ი. ჯალაღონია:

**„ვალდებული ვართ შთამომავლობას ჯანსაღი ბუნება შევუნარჩუნოთ“...**

„საწვავის დეფიციტმა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეუქმნა ხალხს, არიან ადამიანები, რომელთაც ბუნებაც უყვართ და ტყეც, მაგრამ ზოგჯერ იძულებულნი ხდებიან ხელი აიღონ მასზე... ამას ემატება ისიც, რომ ეკოლოგიას მეათეხარისხოვნად თვლიან და მხოლოდ დღევანდელი დღისთვის ფიქრობენ... ბუნების დაცვის ქომაგები მარტო ვერაფერს გახდებიან, ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე, საზოგადოებაზე.

შეგნებულად, გონივრულად გამოვიყენოთ, მოვიხმაროთ ტყე, რათა შთამომავლობაც იყოს კმაყოფილი. აუცილებელია ბრაკონიერობის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარება... უნდა შევაგნებინოთ ყველას, რომ ბუნება საჭიროა. აუცილებელია ჩვენი არსებობისათვის.

ქალაქში მწვანე საფარი თითოეულ ადამიანზე საჭირო 21 კვადრატული მეტრის ნაცვლად 13-ღა გვაქვს. მინდა მოვუწოდო წარმოების ხელმძღვანელებს, გაასუფთაონ მათი მიმდებარე ტერიტორიები, ამოგვიდგნენ და გამწვანებას მოკიდონ ხელი.

ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა პარტიის წევრი ბატონი ზ. ზუნავა:

**„უნდა გატარდეს მწვანე პოლიტიკა“.**

საქმე იმაშია, რომ ის სამსახურები, რომლებმაც უნდა დაიცვან ბუნება, ვერ აკონტროლებენ თავიანთ სფეროს. არასწორი იქნებოდა არსებულ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაში დამნაშავეებად მათი გამოყვანა, რადგან მათ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ არც ფინანსური და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის გამოც ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ამასთან თუ გავითვალისწინებთ არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას, მაშინ პრეტენზიების გამოთქმა ამ სამსახურების მიმართ უხერხულადაც მესახება. ამ ძნელბედობის ჟამს მეტყევეები შეეცადნენ და გაარკვიეს რუხში ტყის გამჩეხთა ვინაობა, მინდა აღვნიშნო, რომ კომუნალური მომსახურების მხრივ საქმე უკეთესობისაკენ არ მიდის, გარეგნულადაც არ შეიმჩნევა სურვილი მდგომარეობის გამოსწორებისა, არსებული ანტისანიტარიის გამო ადვილი დასაშვებია ეპიდემიური აფეთქება.

ეკოლოგიური თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაშია ჩხოუშია, მისი სანაპიროები, გამწმენდი ნაგებობები... საჭიროა საზოგადოებამ გამოთქვას თავისი აზრი აღნიშნულის გამო. ჩემი აზრით წლების მანძილზე გამჯდარი გასხვისების გრძნობა და ეკოლოგიური კანონმდებლობის არარსებობაა მეტნაკლებად ყველაფრის მიზეზი, აუცილებელია გატარდეს „მწვანე პოლიტიკა“.

## პოზიცია

ვგონებ, სხვა არა ერთ მონაპოვართან ერთად თანამედროვეობამ განსხვავებული აზრის სააშკარაოზე გამოტანის საშუალება მოგვცა. სულ სხვა საუბრის თემაა ალბათ ის, თუ რა ფორმით წარმოჩნდება იგი საზოგადოებისა თუ ცალკეული პიროვნების მიერ.

და მაინც, საითკენ მიდის გზა გადარჩენისა, გზა მართალი, სწორი, ნათელი, რომელსაც ვადგავართ თითოეული ცალ-ცალკე და ყველანი ერთად. სადაა ახლა ის, ან რომელი მათგანია ჭეშმარიტი?!

დღევანდელობისა თუ ერთი ნაბიჯით უკანდარჩენილი ტკივილიანი დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასებისას თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალურ პოზიციაზე დგას, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შეხედულებებით, მრწამსით, მსოფლმხედველობით. ეს მთელი კოდექსი ადამიანურისა და ზეცნობიერების მთლიანობისა, რამაც გააძლებინა წინა თაობებს, რაც ჩვენც გვაძლებინებს.

კიდევ ერთი განსხვავებული ფურცელი ჩაიწერა ეროვნულ ისტორიაში...

ვისთვის კერპის მსხვრევა იყო იგი, ვისთვის სიმართლის აღზევება, ვისთვის ძმათა სისხლისღვრით განპირობებული ტკივილი და ვისთვის ქართველთათვის თანამდევი ჟამის სიავე. იყო კი იგი, როგორც გარდაუვალობა, როგორც დროის გამოძახილი...

ეს კი ბუნების კანონია, უნდა არსებობდნენ ზნეობრივნიც და უზნეონიც, რამეთუ, თუ არ გვეცოდინება რა არის ცუდი, მიუღებელი, გაგვიჭირდება კარგის დანახვა, დაფასება. სულის დაცემა ალბათ მაშინ იწყება, როცა უარყოფითი უკიდურესობა სჭარბობს დადებითს. ვგონებ, ამაშია დღეს ჩვენი ერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბედურება.

დღეს უკვე ისტორიადქცეული მოვლენების სისწორესა თუ სიმრუდეს ხვალის დღე გაარკვევს, წარმოაჩენს. ჩვენ კი ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას, სისხლისღვრას, ომს, ვის მიმართაც არ უნდა იყოს მიმართული და რა მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს იგი. ამასთან გვინდა პატივი მივაგოთ ყველა დაღუპულ ზუგდიდელს, ყველა ქართველს...

**ზუგდიდელი მწვანეები.**

## დამსხვრეული მშვენიერება

ყველაფერს რაღაც საკუთრივ მისთვის მახასიათებელი ფენომენი გააჩნია. სიმბოლურია კავშირი ქალაქ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღსა და მაცხოვრისკარს შორის, მათ სალოცავებთან ერთად განსხვავებული წარსული და მსგავსი დღევანდელობა აკავშირებთ.

ბოტანიკური ბაღი თავისი ისტორიითა და გამორჩეული ხიბლით დღიდან დაარსებისა თავისებურ კოლორიტს უქმნიდა ქალაქს. დადიანისეული სასახლის ტერიტორიაზე გაშენებულ ბაღში იშვიათი სილამაზის საუცხოო მცენარეთა მრავალი ჯიში ხარობდა. მაშინ, თავის დროზე მას სასახლის მესვეურნი უვლიდნენ, შემდეგ შესაბამისი სამსახურები.

დრონი იცვალნენ... დღეს ადამიანები წარსულის საუკეთესო მოვლენებს ვალმერთებთ და უარყოფითი რაკურსიდან გავცქერით ულმობელ დროს, როგორც მწუხარებას არაამქვეყნიურს...

გუშინ, ხელშეუხებლად შენარჩუნებული სახე ჰქონდა აქაურობას, მოვლილი შემოგარენით, ყვავილებით, ბუჩქებით, ხეებით, ხელოვნური ტბითა და შიგ მცურავი გედებით... დღეს კი „ბოტანიკური ბაღი საფრთხის წინაშეა! კატასტროფული მდგომარეობაა. მოსახლეობის ნაწილი არღვევს ღობეს, უშვებს საქონელს... ნარგაობა ჯერჯერობით ხელშეუხებელია. ჩემი აზრით, თუ გვინდა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, უმშვენიერესი, ისტორიული ბაღი განადგურებას გადავარჩინოთ, მას უნდა დავუყენოთ დაცვა მილიციის სახით. სხვა გამოსავალს სადღეისოდ ვერ ვხედავთ“—ეს ქ. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის დირექტორის ბატონ რ. ლატარიას აზრი გახლავთ.

დღეს ჩვენ ყველანი გულგრილ ან უბრალოდ ნაღვლიან მზერას ვჭერდებით და თვალსა და ხელს შუა იკარგება —მშვენიერება. უყურებ ამ ოდესღაც სილამაზის საუფლოს და გახუნებული მეჩვენება ყველაფერი.

მაცხოვრისკარზე კი—იმქვეყნიურ იდუმალებასთან ერთად აქაურობისთვის მტკივნეულად შეუფერებელი სურათია. დაუსუფთავებელი მიმდებარე ტერიტორიითა და გაჩანაგებული ბუნებით... ნაბიჯის სიშორეზე გარდასულთა ყვავილები ჰყვავიან, სულს მიღმა ჰყვავილობენ ისინი...

ორი უკიდურესობა ენაცვლება ერთმანეთს: მშვენიერება დამსხვრეული და მარადიული...

ხსნა არსებობს! და ჩვენ ერთნაირად ვალდებულნი ვართ წარსულის, წინაპრების, მრავალი თაობის წინაშე, შევინარჩუნოთ, გადავარჩინოთ ისინი...

გადავარჩინოთ მშვენიერება საბოლოო დამსხვრევას, რათა ხვალ სიცარიელით დამეწყრილებმა სასოებით არ შევხვდეთ უიმედობას.

გვერდი მომზადებულია ქ. ზუგდიდის მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრის ხელმძღვანელის მაია კვარაცხელიას მიერ.

ეროვნული

## კრიმინალური ქრონიკა

# ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოდან გვატყობინებენ

ჩვენს ქალაქსა და რაიონში უაღრესად დაძაბულია კრიმინოგენური სიტუაცია, რასაც ცხადყოფენ დანაშაულობათა რეგისტრირებული ფაქტები.

12 ივნისს დაახლოებით 16 საათზე გაქურდულ იქნა სოფ. ჭითაწყარში მცხოვრები ლონია კვინჩიას სახლი, წაიღეს 10000 მანეთი, მაგნიტოფონი „ჯივისი" და სხვა საქონელი. ახლო მეზობლების აქტიურობით და გატარებული ღონისძიების შედეგად დაკავებული არიან ბოროტმოქმედნი: მარტვილის რაიონის სოფ. დიდიჭყონში მცხოვრები ვახტანგ პეტრეს ძე არახამია, ზუგდიდის მკვიდრი ზურაბ ანზორის ძე დამენია. ნაქურდალი ნივთები ამოღებულია.

13 ივნისს შინაგან საქმეთა სამმართველოში გამოცხადდა ქ. გაგრის აგირბას ქუჩა № 13-ში მცხოვრები აშკარ ჩაკრიანი და განაცხადა, რომ მან სოფ. რუხის საავტომობილო გზატკეცილზე დატოვა გასაღებიანად მასზე გაპიროვნებული, კომბინირებული საკვებით დატვირთული „კამაზი" და გავიდა ქუჩაში, რა დროსაც ისარგებლეს ბოროტმოქმედებმა და ავტომანქანა ტვირთიანად გაიტაცეს.

ასევე 13 ივნისს ღამის საათებში დაუდგენელმა პირებმა კარის შემტვრევით შეაღწიეს ქ. ზუგდიდის პარიზის ქუჩაზე მდებარე სოფ. ცაიშის აფთიაქის ფილიალში და დაიტაცეს სახელმწიფო ქონება.

იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე დაუდგენელ ბოროტმოქმედთა მიერ გაქურდულ იქნა ბიქუნა შენგელიას სახლი, საიდანაც წაღებულია უცხოური წარმოების ტელევიზორი და სხვადასხვა საქონელი.

14 ივნისს, საღამოს, სამმართველოში გამოცხადდა ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე ბურმაკინი რომელმაც განაცხადა, რომ ქალაქ ზუგდიდში მას სამმა შეიარაღებულმა პირმა წაართვა ავტომანქანა ვაზ-2108 და ფული—30000 მანეთი.

იმავე საღამოს ფოთში მცხოვრებ მოქალაქე გრიგოლ ზარგინავას ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე სამმა დაუდგენელმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა წაართვა ავტომანქანა გაზ-2410, სახელმწიფო ნომრით 16-90 გად და მიიმალა.

15 ივნისს დაახლოებით 15 საათზე სოფ. ცაიშის ტერიტორიაზე ორი პისტოლეტით შეიარაღებული დაუდგენელი ბოროტმოქმედი თავს დაესხა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ვასილ აკოფიანს და წაართვა ავტომანქანა „კამაზი" (№ 42-12, ადშ), აგრეთვე 1400 მანეთი ფული.

ექვსმა ავტომატებით შეიარაღებულმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა, დღისით-მზისით, სოფელ რუხის ტერიტორიაზე ვაზ-2106 მარკის ავტომანქანა (სახ. ნომერი ა 52-64 არ) წაართვა სომხეთის მოქალაქეს ალბერტ გიორქიანს.

15 ივნისს, დაახლოებით 17 საათზე ქ. ზუგდიდის თავისუფლების ქუჩაზე ხუთი ავტომატებით და პისტოლეტით შეიარაღებული პირი თავს დაესხა ქ. ერევანში მცხოვრებ რადიკ პეტროსიანს და მას იარაღის მუქარით წაართვეს ავტომანქანა ვაზ-2106 სახ. ნომრით ა 01-13 ად, პირადი ნივთები, ტანსაცმელი და მანქანიანად მიიმალნენ.

16 ივნისს შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ (ე. ქ. კ-ის ტერიტორიაზე) ქ. ზუგდიდის მცხოვრებს არისტრახო სორდიას და გაიტაცეს მისი პირადი ავტომანქანა გაზ-2410 (სახ. ნომრით ე 83-90 გგ).

16 ივნისს, გვიან ღამით, ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე № 2 საერთო საცხოვრებლის გვერდით ნაპოვნი იქნა უგონო მდგომარეობაში მყოფი შ. ქანთარია (ე. ქ. კ-ს მუშ:), რომელსაც აღმოაჩნდა ტრამვა თავის არეში და მოთავსდა ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

## მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

# „მაინც ახლოს ხარ, სულ ძლიერ ახლოს"...

საქართველოში დატრიალებული უბედურება დღემდე ზაფრავს ადამიანთა გულებს. ძაძებით მოსილი შვილმკვდარი დედების სხივჩამქრალი თვალები ყოველ ჩვენგანში აზმიანებს განგაშის ზარებს. რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე მოითხოვა მსხვერპლად გაწამებულმა მამულმა. მამულმა, რომელიც ცრემლითა და სისხლით, ფიქრთან ჭიდილით და შინაგანი გვემით, იმედითა და რწმენით მიიკვლევს გზას უღრუბლო მერმისისაკენ.

ამიერიდან კრძალვითა და სასოებით მოსაფერებელ სახელთა შორის იქნება დარჩელელი პატრიოტის გია მამიას ძე ნაყოფიას ღირსეული ბიოგრაფიაც.

საოცრად უყვარდა მშობლიური სანახები, მოდგამდა საშური ნიჭი მოძმის, ახლობლის ჭირისა, თუ ლხინის გათავისებისა. საამისო შინაგან სიწრფელესთან ერთად გამოირჩეოდა შესაშური ჯანით, შრომისმოყვარეობით, სამშობლოს გამძაფრებული განცდით. ეს მატებდა ენით გამოუთქმელ ძალას დამტკბარიყო სიცოცხლის მრავალფეროვნებითა და მადლით. თავი ბედნიერად ეგრძნო ახლობელთა და მეგობართა გარემოცვაში. გამორჩეულად მაინც კი თავის სათაყვანებელ ცოლ-შვილში.

როცა ათასგზის ნაგვემ მამულში გამოჩნდნენ თავისუფლებისაკენ გზის გამკვლავი გულუშიშარი ვაჟკაცები, გიაც მათ შორის ჩადგა. თავიდანვე იწამა არჩეული გზის სისწორე და ამ მრწამსისათვის არ უღალატია. სულის მხნეობა და სიმამაცე ფრთებად ექცა, რათა შემდგომ მისი ლამაზი სული ცად აჭრილიყო და სამუდამო სასუფეველში ღაედო ბინა.

სიკვდილი ათასნაირიაო, ამბობს ხალხი. ზოგი თავის თავს, ახლობელთა ვიწრო წრეს უკვდება. ზოგის სიკვდილი ათასებს შესძრავს. ეს არის სიკვდილი სამშობლოსთვის, რომელსაც ყველაზე და ყველაფერზე ამაღლებული სიკვდილი ქვია.

გია ნაყოფიასაც ასეთი წასვლა ერგო. ღასანანია, რომ ვეღარ მოესწრება თავისი სალოცავი ხატის —საქართველოს საბოლოო გამარჯვებას. მაგრამ ჩვენს წინ მარად ინათებს მისი გაღიმებული, სხივფენილი თვალები, რომელიც შორეთიდან თითქოს მორიდებით გვიმზერს და ჭეშმარიტად თავისუფალ საქართველოს ესიყვარულება.

ჯ. თელია.

# რატომ გავდივარ ჟურნალისტთა კავშირიდან...

ჩემთვის ზნეობრივად მიუღებელია ვიყო წევრი იმ ჟურნალისტების კავშირისა, რომლებმაც:

1. თავიანთი მოქმედებით (წერილებით, სატელევიზიო თუ სამიტინგო გამოსვლებით, დეზინფორმაციების გავრცელებით) გარკვეული იდეოლოგიური ნიადაგი შეამზადეს სამხედრო გადატრიალებისათვის.

2. არ დაგმეს სისხლიანი სამხედრო გადატრიალება, მშვიდობიან მომიტინგეთა და მანიფესტანტთა არაერთხელ დაუნდობელი დარბევა, ე. წ. სამთავრობო ჯარის ნაწილების ბანდიტური და თავხედური მოქმედება.

3. არ შეწყვიტეს მომხდარი მოვლენებისა და მიმდინარე პროცესების არაობიექტურად და ცალმხრივად გაშუქება, შეთითხნილი ბრალდებების, ბინძური ჭორებისა და ცილისწამებების გავრცელება ზვიად გამსახურდიაზე, სამართლიანობისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრეებზე...

4. დაარღვიეს და ფეხქვეშ გათელეს ჟურნალისტური ეთიკის ყოველგვარი ნორმები.

5. და ა. შ.

ამიტომ გავდივარ ჟურნალისტთა კავშირიდან.

# რატომ არ მინდა გავხდე მწერალთა კავშირის წევრი...

მწერალთა კავშირის არქივში, 1983 წლიდან, დევს ჩემი განცხადებები და მწერალთა კავშირის 23 წევრის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა კავშირში მიღებისა და საბინაო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. შესაძლოა, არც არავინ შეიწუხოს თავი მათი განხილვით, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო:

თბილისში, საერთოდ, საქართველოში და თვით მწერალთა კავშირში მომხდარი მოვლენების შემდეგ არავითარი სურვილი არ მაქვს და ზნეობრივად მიუღებლად ვთვლი გავხდე წევრი საქართველოს მწერალთა კავშირისა. ვინაიდან, არც იმის სურვილი მაქვს, რომ პირადად მივიდე მწერალთა კავშირში, ამიტომ ვითხოვ სანაგვე ყუთში გადაყარონ (თუ ეს დღემდე არ გაუკეთებიათ) ზემოთაღნიშნული განცხადებები და შუამდგომლობა.

# რატომ და როგორ წავედი სამსახურიდან...

1991 წლის 28 დეკემბრიდან 1992 წლის 18 თებერვლამდე მე თბილისში არ ვიყავი. 18 თებერვალს დავწერე განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ:

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს

ტანკებითა და ავტომატებით მოსული ხელისუფლების ხელში არა თუ გაზეთ „ქართული ფეხბურთის" გამოცემა და მასში თანამშრომლობა, არამედ თვით ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებლად და გაუმართლებლად მიმაჩნია.

შეგიძლიათ ეს წერილი ჩათვალოთ, როგორც განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

ედემ კვირტია,
გაზეთ „ქართული ფეხბურთის" რედაქტორის მოადგილე.

ამავე შინაარსის განცხადება გადავეცი „ქართული ფეხბურთის" რედაქტორს ნოდარ კობერიძეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დამპირდა, მაინც არ დაბეჭდა. როგორც გავიგე, უფრო ადრე, ჩემი სახელით დაუწერიათ განცხადება თითქოს მე ოჯახური მდგომარეობის გამო ვითხოვდი სამსახურიდან გათავისუფლებას. მე კი მოვითხოვ: გამათავისუფლონ ზემოთ აღნიშნული განცხადების საფუძველზე, ან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო (ეს უფრო ახლოს იქნება სიმართლესთან: მე ხომ მართლაც არ გამოვცხადებულვარ სამსახურში).

ედემ კვირტია

14 მაისი, 1992 წ.

## გახსენება

# უძეხოდ ვხვდებით...

ღმერთს გამორჩეულები მიყავს ყოველთვის... ვინც თემურ გურამის ძე მესხიას იცნობდა ძნელია არ დაგვეთანხმოს.

ძეგვძრა მისმა გარდაცვალებამ. დაიბადა 1963 წელს. 1991 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებლად. მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, დიდი სიყვარული და ღრმა პატივისცემა დაიმსახურა.

ვინ იფიქრებდა მის ჯანსაღ სხეულსა და შეუდრეკელ ხასიათს რაიმე მოერეოდა, მაგრამ... მის სიცოცხლეს ბრმა ბედისწერამ დაუსვა წერტილი.

დღეს შენი დაბადების დღეა. უშენოდ ვხვდებით ამ დღეს და გულში ჩასერილ იარად, მოურჩენელ ტკივილად რჩები ჩვენთვის თემო.

მანონი ქარჩავა-მესხია.

# რა შევცოდეთ ასეთი?

პურის პრობლემა, როგორც ვხედავთ ფასების გადიდებამაც ვერ გადაწყვიტა. აქა-იქ ამუშავდა კოოპერატივები, მაგრამ ქალაქს მაინც არ ყოფნის პური. ამის უტყუარ ფაქტს წააწყდებით ზუგდიდის სკოლა-ინტერნატთან მიმდებარე კოოპერატივში, რომლის მუშაკები თავდაუზოგავად შრომობენ და ხარისხიან პურს აწვდიან მოსახლეობას, მაგრამ აქ სრული უწესრიგობა და ქაოსია. არავინ არ კითხულობს ვინ ვის შემდეგ დგას. იმართება ჭიდაობა, წივილ-კივილი, არად დაგიდევენ ბავშვებს, მოხუცებს... ეს აღგზნებული ხალხი ზედ გადაუვლის გულწასულსაც...

რა შევცოდეთ ასეთი...

გ. ასათიანი.

# შეხვედრა – დიალოგი

13 ივნისს საწარმოო გაერთიანება „საქქალალდმრეწვის" კულტურის სასახლეში ზუგდიდის საზოგადოებას შეხვდა მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ვაჟა ადამია, რომელმაც ილაპარაკა სამაჩაბლოს, მესხეთ ჯავახეთის, აჭარის, აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დღევანდელ თუ ხვალინდელ გასაჭირზე. მან ახსნა და გააანალიზა ქართველებს შორის ის კონფლიქტური ურთიერთობები, რამაც ძმათა სისხლისღვრა გამოიწვია.

შეხვედრაზე ბატონმა ვაჟამ პასუხები გასცა დამწრეთა შეკითხვებს, რომლებიც ძირითადად მის წარსულ და ახლანდელ საქმიანობას ეხებოდა.

ლ. ჯოლოხავა.

**სარედაქციო კოლეგია**

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი. ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69. პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96. სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56. 2-28-07. ტირაჟი 5000, შეკ. № 127